ხელშეკრულება №2015/78

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 19 მაისი 2015 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი** (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) წარმოდგენილი დირექტორის **ჯონი კვინიკაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს თმგრუპ** (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“) წარმოდგენილი დირექტორის **შალვა ოქროპირიძის** სახით, (ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“), ვმოქმედებთ, რა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 05 მაისის N907 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“** (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. **„ხელშეკრულების ღირებულება“** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. **„დღე“, „კვირა“, „თვე“** - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. **„შემსყიდველი“** - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. **„მიმწოდებელი“** - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. **„საქონელი“ ან/და „მომსახურება“** - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ბრენდირებული ქუდი - 200 (ორასი) ერთეული CPV 182 11000

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითებული ქუდის ნიმუში მოცემულია ხელშეკრულების დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1500,00** (ერთიათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის მიწოდების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება არაუგვიანეს 2015 წლის 25 მაისისა.

ბ) განახორციელოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს (სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომელს), ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს.

5.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ საქონლის მიწოდების პერიოდში აღმოაჩნდება ისეთი წუნი რომელიც ხელს უშლის საქონლის გამოყენებას დანიშნულებისამებრ, მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა გამოასწოროს ხარვეზი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, რომელიც ასევე დადასტურებული უნდა იყოს ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტოლის განმახორციელებელი პირის მიერ.

6.2. საქონლის მიღებას აწარმოებს - ჯონი კვინიკაძე, სსიპ - „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი,
წარმოდგენილი დირექტორის
ჯონი კვინიკაძის სახით,
მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ.2,
ტელეფონი: 2 94 40 02,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22,
სკ - 206351160

ჯონი კვინიკაძე

მიმწოდებელი:

შპს თმგრუპ,
წარმოდგენილი დირექტორის
შალვა ოქროპირიძის **სახით,**
მისამართი: თბილისი, კეკელიძის N25
ტელეფონი: (+995 32) 272 90 52
საბანკო რეკვიზიტები:
ა/ა: **GE71 BR00 0001 0084 9055 20**
სს ბანკი რესპუბლიკა
ბანკის კოდი: **REPLGE22**
სკ - 204559931

შალვა ოქროპირიძე

2015 წლის 19 მაისის N2015/78 ხელშეკრულების დანართი



შემსყიდველი:

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი,
წარმოდგენილი დირექტორის
ჯონი კვინიკაძის სახით,
მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ.2,
ტელეფონი: 2 94 40 02,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22,
სკ - 206351160

ჯონი კვინიკაძე

მიმწოდებელი:

შპს თმგრუპ,
წარმოდგენილი დირექტორის
შალვა ოქროირიძის **სახით,**
მისამართ: თბილისი, კეკელიძის N25
ტელეფონი: (+995 32) 272 90 52
საბანკო რეკვიზიტები:
ა/ა: **GE71 BR00 0001 0084 9055 20**
სს ბანკი რესპუბლიკა
ბანკის კოდი: **REPLGE22**
სკ - 204559931

შალვა ოქროირიძე